

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის



კერძო სამართლის მიმართულებით მაგისტრატურის
დამამთავრებელი კურსის სტუდენტის

ქეთევანი როსტიაშვილის

ნაშრომი თემაზე

აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი

თბილისი, 2019 წელი
სარჩევი:

1. შესავალი -----	3
2. სარჩელის სახეები -----	4
2.1. სარჩელის სახეები მატერიალური ნიშნით -----	5
2.2. სარჩელის სახეები პროცესუალური ნიშნით -----	8
3. აღიარებითი სარჩელი -----	14
3.2 აღიარებითი სარჩელის ცნება -----	14
3.3 აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები -----	14
4. იურიდიული ინტერესის ცნება -----	19
4.1.1. აღიარებით სარჩელში მითითებული ფაქტების მითითების და მათი მტკიცების ტვირთი -----	19
4.1.2. მართლზომიერი იურიდიული ინტერესი და მისი დადგენის პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში -----	26
4.1.3. უფლების სადავოობა, როგორც მოსარჩელის ჰიპოტეტური ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრისას -----	33
4.1.4. კონკურენცია მიკუთვნებით სარჩელსა და აღიარებით სარჩელს შორის -----	34
5. სასამართლოს როლი აღიარებითი სარჩელის შემონშმებისას -----	37
5.1. მოპასუხის კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობისას -----	39
5.2. საქმის მომზადების ეტაპის ეფექტური გამოყენება აღიარებითი სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისთვის -----	41
6. აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობა -----	42
6.1. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოთა როლი აღიარებითი სარჩელის იურიდიული ბედის გადაწყვეტისას -----	42
7. დასკვნა -----	43

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებულია პირის დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების სასამართლო წესით დაცვა, რასაც ემსახურება ისეთი საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, როგორცაა სარჩელი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, აღსანიშნავია დისპოზიციურობის პრინციპის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომლის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს, ამისათვის საჭიროა დაინტერესებულმა პირმა სასამართლოში წარადგინოს სარჩელი ან განცხადება, რომლითაც თავად განსაზღვრავს დავის საგანს. ამასთანავე, დასახელებული პრინციპი გულისხმობს პირის უფლებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის (განცხადების) შეტანის თაობაზე¹ [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსსკ) მე-3 მუხლი].

როგორც წესი, სასამართლოს სარჩელით მიმართავენ, როცა დავა უფლების თაობაზეა, ხოლო სასამართლოს განცხადებით მიმართავენ, როდესაც არ არსებობს მოდავე მხარეები და განმცხადებლის მიზანია იურიდიული ფაქტის დადგენა. შესაბამისად, პირს, რომელსაც სურს მორე პირისაგან რაიმეს (ნივთის, ფულადი თანხის) მიკუთვნება ან მისგან რაიმე მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება, ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნა, მან სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს.² თუმცა, აღიარებით სარჩელს მიკუთვნებით სარჩელთან შედარებით გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, მუხლი 3, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=133>

² სამოქალაქო საპროცესო სამართალი, კომენტარი, ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., 2007, 270-271.

განსახილველი ნაშრომის მიზანია სასამართლოში სამოქალაქო დავის ფარგლებში წარდგენილი აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესის თაობაზე თეორიული და პრაქტიკული საკითხების მიმოხილვა და მასთან დაკავშირებული პრობლემების დამუშავების შედეგად მათი საუკეთესო გადაწყვეტის გზების დასახვა.

2. სარჩელის სახეები

იურისპრუდენციაში სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თანამედროვე პრობლემას წარმოადგენს სარჩელთა კლასიფიკაციის საკითხი. "კლასიფიკაციაში იგულისხმება საგნების, მოვლენების, ფაქტების გადანაწილება ჯგუფებად. კლასიფიცირებული ობიექტების საერთო ტიპიური ნიშნების თანახმად, ყოველ კლასს აქვს თავისი მუდმივი, განსაზღვრული ადგილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასიფიკაციის ამოცანაა - „გადაანაწილოს ნივთები ჯგუფებად ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია ნივთების თვისებების განსაზღვრისათვის“³. ამგვარად, იმისათვის რომ კლასიფიკაციამ შეასრულოს თავის წინაშე დასმული ამოცანები, აუცილებელია ფაქტებისა და მოვლენების კლასიფიკაციისათვის საფუძვლად გამოვიყენოთ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები. არსებით ნიშან-თვისებებად ითვლება თვისებები, რომლებიც მოვლენების შინაგან ბუნებასა და არსს გამოხატავენ.⁴

სარჩელის არსისა და კლასიფიკაციის თაობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომ, სარჩელის ინსტიტუტი არ კარგავს სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამასთან, სარჩელების კლასიფიკაციის პრაქტიკული დანიშნულება ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა ყურადღება გავამახვილოთ, როგორც უფლებებისა და ინტერესების დაცვის სასარჩელო ფორმის ზოგად თვისებებზე, ასევე საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და არბიტრაჟების მიერ სარჩელების განხილვისა და გადაჭრის პროცედურის თვისებებზე. სარჩელის შესახებ არსებული მოსაზრებები, ერთი მხრივ, განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა რეალური დაცვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი სამართალწარმოების განხორციელების შედეგის იდეალურ სახეს

³ იხ. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 1.

⁴ იხ. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 1.

წარმოგვიდგენს, რაც დადებითად აისახება სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოებაზე.⁵

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სარჩელი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით და სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ შეხედულების საპირისპიროდ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელი ერთიანი ცნებაა და მას მხოლოდ ორი მხარე აქვს - **საპროცესო სამართლებრივი** - ე. ი. სასამართლოსადმი მიმართვა შუამდგომლობით, რათა მან დაიცვას სადავო უფლება და **მატერიალურ-სამართლებრივი** - ანუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი.⁶

საპროცესო ნორმების კომენტარებისას ავტორები არ ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავენ, რომ დასახელებული შეხედულებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და უფრო მეტიც, ერთსაც და მეორესაც სარჩელის საპროცესო სამართლებრივი მხარე და მატერიალურ-სამართლებრივი მხარე აბსოლუტურად ერთნაირად ესმით. ამასთანავე, ის, რასაც უწოდებენ სარჩელს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (სადავო სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი) მთლიანად ემთხვევა სარჩელის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია, სარჩელი საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე კი, სარჩელის კლასიფიცირება შესაძლებელია **მიკუთვნებითი** ანუ აღსრულებითი სარჩელების, **გარდაქმნითი** და **აღიარებითი** ანუ დადგენითი სარჩელების სახით.⁷

⁵ იხ. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 1.

⁶ იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., თბილისი, 2007, 271, სქოლიო #85.

⁷ იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., თბ., 2007, 310.

2.1. სარჩელის სახეები მატერიალური ნიშნით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარჩელები კლასიფიცირებულია პროცესუალური მიზნის (პროცესუალურ-სამართლებრივი), ან სადაო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელების მოცემული კლასიფიკაცია კრიტერიუმების მიხედვით, სამოქალაქო პროცესში სადავო საკითხია, თუმცა, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სარჩელი წარმოადგენს პირის დარღვეული ან/და სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საშუალებას, რომლის ფორმალურ და შინაარსობრივ კრიტერიუმებზეც დამოკიდებულია მისი განსახილველად მიღების საკითხი და შემდგომ, პირის მოთხოვნის იურიდიული ბედი.

ვინაიდან, ქართული სამოქალაქო საპროცესო მეცნიერება სარჩელის თაობაზე არსებული ლიტერატურით მწირია, მიზანშეწონილია დადგენილი სასამართლო პრაქტიკის განხილვა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში⁸ განმარტებულია, რომ სარჩელის კლასიფიკაცია შესაძლებელია მოსარჩელის მოთხოვნათა მიხედვით.

დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, მატერიალურ სამართალში სარჩელის ძირითად სახეებად გვევლინებიან სანივთოსამართლებრივი სარჩელები, როგორებიცაა სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები. სავინდიკაციო სარჩელი არის არამფლობელი მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის სარჩელი უკანონო მფლობელის წინააღმდეგ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ნატურით არსებული ნივთის დაბრუნების თაობაზე. ნეგატორული სარჩელი მიმართულია უფლების ისეთი დარღვევის წინააღმდეგ, რაც არ არის დაკავშირებული ნივთის მფლობელობის დაკარგვასთან, მაგრამ ხელშემშლელია ნივთით სარგებლობისა და განკარგვისთვის, ე.ი. პირი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სხვა პირი თავისი მოქმედებით ხელს უშლის მათ რეალიზებას; ვალდებულებითი-სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელები. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისთვის ქონების დაბრუნებისკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისკენ. მაგალითად,

⁸ იხ. სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი.

დელიქტური სარჩელი მიმართულია არასახელმწიფოებო ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთია ის ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელმწიფოებო ურთიერთობაში. ვინდიკაციისგან განსხვავებით, რომლის საგანია მხოლოდ ნატურით არსებული ნივთი, დელიქტური სარჩელით შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როცა ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია. კონდიქციური სარჩელები, რომლითაც ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვისი ქონებრივი სიკეთის ხარჯზე, პირის არამართლზომიერი თუ მართლზომიერი მოქმედების ან დაუძლეველი ძალის შედეგად მიღებულის (შეძენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება, რითაც მიიღწევა ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენით.⁹

მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების (სამართალურთიერთობების), კანონიერი ინტერესებისა და უფლებების ხელყოფის ხასიათი, სარჩელების დაყოფას განაპირობებს შემდეგ სახეობებად:

ა) **სამოქალაქო სარჩელი, როგორც სამოქალაქო, შრომითი და სხვა ჰორიზონტალური (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა;**¹⁰

ბ) **ადმინისტრაციული სარჩელი, როგორც ადმინისტრაციული, სხვა ვერტიკალური (საჯარო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება.**¹¹

იმის მიხედვით, თუ რომელი უფლებამოსილი ორგანო განიხილავს და გადაწყვეტს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სარჩელებს, ეს უკანასკნელები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული: ა) **სამართლებრივ სარჩელებად;** ბ) **საარბიტრაჟო სარჩელებად** (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება).¹²

⁹ იხ., ცვაიგერტი ვ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001, 228.

¹⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, მუხლი 11, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=133>

¹¹ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=73>

¹² იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2018 წლის 4 მაისის მდგომარეობით, მუხლი 1.2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=7>

სამართლებრივი სარჩელები თავის მხრივ იყოფა: ა) სამოქალაქო სარჩელებად, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ბ) ადმინისტრაციული სარჩელებად, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციული წესით.

სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებების ან კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ აღძრული სარჩელი განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის მიხედვით, რომლისგანაც წარმოიქმნა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, განსხვავდებიან სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ სამოქალაქო, შრომითი და სხვა ჰორიზონტალური (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან და სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ, ადმინისტრაციული და სხვა ვერტიკალური (საჯარო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან. მოცემულ კლასიფიკაციას უწოდებენ მატერიალურ-სამართლებრივს ან კლასიფიკაციას მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით.¹³

თავის მხრივ, პროცესუალური თავისებურებების ცოდნა ხელს უწყობს სარჩელს, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საშუალების სწორ და ეფექტურ გამოყენებას, სამოქალაქო საქმეების უფრო სწორ განხილვასა და გადაჭრას. ამით ხელს უწყობს სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოების წინაშე დამდგარი ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას.

2.2. სარჩელის სახეები პროცესუალური ნიშნით

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში არანაკლებ ტრადიციულია სარჩელების კლასიფიკაცია პროცესუალური ნიშნით, რომელიც წარმოდგენილია როგორც პროცესუალური მიზანი. ამ მიზნის მიხედვით სარჩელები შემდეგ სახეობებად იყოფა: **მიკუთვნებითი** ანუ აღსრულებითი სარჩელები, **გარდაქმნითი** და **აღიარებითი** ანუ დადგენითი სარჩელები.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის მიზანი არ შეიძლება იყოს კლასიფიკაციის ნიშანი, რადგანაც ნებისმიერი კლასიფიკაცია წარმოადგენს ობიექტების გადანაწილებას

¹³ იხ. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 3.

ერთიერთდაკავშირებულ კლასებად მათი ტიპური ნიშნების მიხედვით, ამიტომ კლასიფიკაციის ნიშანმა უნდა ასახოს არა მარტო საკლასიფიკაციო ობიექტების ერთიანობის ერთობლიობა, არამედ მისი განსხვავება სხვა ერთობლიობისაგან.¹⁴

ზოგიერთი მეცნიერი უარყოფდა სარჩელების კლასიფიკაციას დაცვის ხერხის მიხედვით. მათ მიაჩნდათ, რომ სახეობებად იყოფა არა სარჩელები, არამედ სამოქალაქო უფლების დაცვის ხერხები. თავის პოზიციას მეცნიერი ასაბუთებდა იმით, რომ „სარჩელი მოსარჩელეს მიერ შერჩეული და სასამართლოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი დაცვის ხერხთან მიმართებით, თავისი არსით რჩება იგივე, რადგანაც მისი ბუნება არ არის დამოკიდებული დაცვის ხერხზე”.¹⁵

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პოზიცია, როცა იგი სარჩელების კლასიფიკაციას, დაცვის ხერხის კლასიფიკაციით ანაცვლებს, გამომდინარეობს მისი ნეგატიური დამოკიდებულებიდან, რომელსაც იგი იჩენს ამ საკითხის მიმართ. ამით სარჩელის მნიშვნელობა, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი, უარყოფილია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სარჩელის ბუნება, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, ნამდვილად არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, თუ რა ხერხით იქნება დაცული დარღვეული უფლება ან კანონიერი ინტერესი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია სარჩელების დაყოფა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხერხის მიხედვით. ნებისმიერი სარჩელი, როგორც უფლების ან ინტერესის დაცვის მოთხოვნა, გულისხმობს მისი დაცვის განსაზღვრული ხერხის არსებობას. სარჩელი და უფლების (ინტერესის) დაცვის ხერხი ერთმანეთთანაა შეფარდებული როგორც მთლიანი, და მისი არსებითი (განუყოფელი) ნაწილი (ანუ ნიშანი), რადგანაც არსებობს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვადასხვა ხერხი.

სარჩელების კლასიფიკაციის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სამოქალაქო პროცესუალურისამართლის მეცნიერების ისეთ დისკუსიურ საკითხს, როგორცაა გარდაქმნითი სარჩელები. ამგვარი სარჩელები არის ისეთი სარჩელები, რომელიც ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს

¹⁴ იხ. ცქიტაშვილი მ.-ს დასახელებული რეზიუმე, 3.

¹⁵ Логинов П.В. 1983. Понятие иска и исковой формы защиты права // Сов. Гип. . № 2.

სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით და განახორციელებენ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას.¹⁶

გარდაქმნითი სარჩელის არსებობას აღიარებენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგალითად, პროფ. თ. ლილუაშვილის შეხედულებით „გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალისტიკის მიერ, ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია“.¹⁷ გარდაქმნითი სარჩელების თეორიას არ აქვს არსებობის უფლება. ამგვარ სარჩელს არ იცნობს ქართული პრაქტიკაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და ყურადსაღებია დობროვოლსკის და ივანოვას ნაშრომებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები და არგუმენტები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ზუსტადაც მათ აზრს ეყრდნობიან სხვა ავტორებიც, რომლებიც გამოდიან გარდაქმნითი სარჩელების თეორიის წინააღმდეგ.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, „გარდაქმნითი სარჩელი თავისი არსით სხვა არაფერია თუ არა აღიარებითი სარჩელი“, რასაც ვერ დავეთანხმები, გამომდინარე სარჩელების კლასიფიკაციის პრაქტიკული მნიშვნელობიდან: „სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსს, რაც დაკავშირებულია მოპასუხის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებასთან ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებასთან (მიკუთვნებითი მოთხოვნა), რაიმე უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარებასთან (აღიარებითი მოთხოვნა) ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნასთან (გარდაქმნითი მოთხოვნა)“.¹⁸ გარდაქმნითი სარჩელის წინააღმდეგ გამოთქმული პოზიციას მხარს უჭერს ზოგიერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თუმცა, არ ეთანხმებიან მათ მსჯელობას იმ ნაწილში, რომელშიც აღნიშნული პოზიციის ავტორები მიიჩნევენ, რომ თითქოს სასამართლო არ ემნის სამართალს და გადაწყვეტილებას არ აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა.¹⁹ „იურიდიული ფაქტი უკავშირდება

¹⁶ Гурвич М. А. 1981. Учение об иске (состав, виды): Учебное пособие. Москва. Вьюзи;

¹⁷ იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.

¹⁸ იხ. სარჩელის შენიშვნა, „სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (I)“, პპ: 17.

¹⁹ იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, თბ., 2007, 431.

სამართალური იეროტობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. თუმცა, პირდაპირ არ აღინიშნება, მაგრამ სასამართლოს გადანყვეტილება წარმოშობს მომავალში ვალდებულებებს და შესაბამისად წარმოშობს ცვლის ან წყვეტს მხარეთა შორის სამართალური იეროტობებს“. ²⁰ „სასამართლოს გადანყვეტილება წარმოადგენს ნორმას, ქცევის წესს, რომელის შესრულება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სავალდებულოა. ასეთი გადანყვეტილების და მის საფუძველზე მიღებული აქტის (სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ ცვლილებები იყო შეტანილი სამკვიდრო მონუმობაში) გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული გადასაწყვეტ დავასთან ასევე სავალდებულოა სასამართლოსთვის“. „სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა და ის უნდა შესრულდეს, ე.ი. მხარეს გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოემობა მისი შესრულების ვალდებულება“. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს გადანყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადანყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით“. ²¹ ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად, „სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილება წარმოადგენს უფლების სასამართლო წესით განხორციელებას, სამართლიანობის აღდგენას მოსარჩელის მიერ წარდგენილი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების და შესაბამისად, იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გზით, რომლების სამართლებრივ საფუძველებს არ ემყარება, თუმცა, ამ მიმზნის მისაღწევად საკმარისია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც, გათვალისწინებული სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტით“. ²²

კანონის შესაბამისად გარდაქმნით სარჩელებს მიეკუთნება ისეთი სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებულ სამართალდამოკიდებულების შეცვლაზე და შეწყვეტაზე. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბევრი

შდრ. სუსგ საქმეზე Nას-741-702-2015, 22 ოქტომბერი, 2015 წელი.

²⁰ იხ. ცქიტომვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 5.

²¹ საქართველოს კონსტიტუცია, მიღ. 1995 წლის 24 აგვისტოს, 2018 წლის 23 მარტის

მდგომარეობით, , მუხლი 62.1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

²² იხ. ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ., „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია“, თბილისი, 2004 წ., 69-70.

ავტორი, მათ შორის გურვინჩი და დობროვოლსკი, გარდაქმნით სარჩელებს მიაკუთნებდნენ აღიარებით სარჩელებს.²³ მაგალითად, გურვინჩი გარდაქმნით სარჩელს მიაკუთნებდა გარიგების ბათილად აღიარების სარჩელს, ხოლო დობროვოლსკი კი სარჩელს მამობის დადგენის შესახებ, თუმცა ორივე სარჩელი, ტიპური სარჩელია აღიარების შესახებ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი სარჩელი არის უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, ხოლო მეორე კი, დადებითი სარჩელი აღიარების შესახებ.

უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, გარდაქმნითი სარჩელისაგან განსხვავებით მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არარსებულად აღიარებაზე. დადებითი სარჩელი კი - აღიარების შესახებ, მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არსებულად აღიარებაზე.

სარჩელი, ქონების დაყადაღება-გათავისუფლების შესახებ სასამართლომ არ შეიძლება განიხილოს, როგორც გარდაქმნითი სარჩელი, შემდეგი მიზეზების გამო: ნებისმიერი გარდაქმნითი სარჩელი მიმართულია არსებული, რეალური სამართალურთიერთობის შეცვლაზე ან შეწყვეტაზე. სარჩელი, ქონების დაყადაღება-გათავისუფლების შესახებ მიმართულია მოსარჩელის ნივთობრივ უფლებაზე (დაკავებულ) ქონებაზე და ამ გავებით, ის (სარჩელი) მიეკუთნება დადებით სარჩელებს აღიარების შესახებ. მოპასუხის მიმართ ასეთი სარჩელის დაკმაყოფილება არ ნიშნავს მის ნივთობრივ უფლების შეწყვეტას სადავო ქონებაზე, იმიტომ რომ ის მოპასუხეს არასდროს არ ეკუთვნის. როცა სასამართლო უარს ეუბნება ქონების დაკავებიდან გათავისუფლების სარჩელზე, ამით ის ადასტურებს მოსარჩელის უფლებას სადავო ქონებაზე, მაგრამ აღიარებს იმას, რომ ასეთი უფლება არაქვს მოპასუხეს.²⁴

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ქართველი მეცნიერების მოსაზრებებს, თ. ლილუაშვილი თავის ნაშრომში წერს: „სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებიც ზოგჯერ აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტადაა

²³ Добровольский А.А.; Иваново С. А.1979.Основные проблемы исковой формы защиты права. Москва.Издю-во Моск ун-та;

²⁴ მაგ: ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ მესამე პირის სარჩელის აღძვრის უფლებას აწესებს „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღ. 1999 წლის 16 აპრილს, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, მუხლი 32.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=90>

გავრცელებული და მას ყველაზე ხშირად ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართავენ. მაგალითად, ასეთ სარჩელებს მიეკუთვნება: ვალის დაბრუნება, ლიზინგის საგნის დაბრუნება, ბინის განთავისუფლება, ალიმენტის გადახდა, სამუშაოზე აღდგენა და ა.შ.²⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაში²⁶ განხილულია სარჩელის საპროცესო-სამართლებრივი კლასიფიკაცია. კერძოდ, პალატის განმარტებით, სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დაწესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამოწმებს, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზეა დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული

²⁵ იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.

²⁶ სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი

ინტერესის არსებობის შემონახვა განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას?. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- გ) აღიარებითი სარჩელის გადანაცვება დავის გადანაცვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანაცვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

3. აღიარებითი სარჩელი

3.1. აღიარებითი სარჩელის ცნება

აღიარებითი ანუ უფლებადამდგენი სარჩელები ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვის იყო ცნობილი. რომის სამართალში აღიარებითი სარჩელის ინსტიტუტი არსებობდა „პრეიუდიციული სარჩელის“ სახელწოდებით.²⁷ აღიარებით სარჩელს ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმად: „აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძვას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის

²⁷ იხ. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წ., 482.

დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი“. აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს, ამიტომ ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე, მოსარჩელე და მოპასუხე, რითაც იგი განსხვავდება უღაო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან.²⁸

3.2. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შეფარდებისათვის აუცილებელია არსებობდეს ამ ნორმათა წინაპირობები, რომელთა შესაბამისობაც დგინდება კონკრეტულ შემთხვევასთან. ისევე როგორც ნებისმიერი მუხლის გამოყენებისათვის²⁹, აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვისათვის აუცილებელია ყველა იმ წინაპირობის არსებობა, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით არის დადგენილი. შესაბამისად, იმისათვის, რომ აღიარებითი სარჩელი სასამართლომ დასაშვებად მიიჩნიოს, აუცილებელია მისი ყველა წინაპირობის არსებობა, კერძოდ:

ა) უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის ან არარსებობის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის მიზანი;

გ) სასამართლო წესით ასეთი აღიარების თაობაზე მოსარჩელის იურიდიული ინტერესი.

როგორც ვხედავთ, სხვა წინაპირობებთან ერთად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი გულისხმობს იურიდიული ინტერესების არსებობას სასამართლო გადაწყვეტილებით ასეთ აღიარებასთან მიმართებაში. **აღნიშნული ნორმის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობა არსებითად უკავშირდება სარჩელის აღძვრის შესაძლებლობასა და დასაშვებობას.** ამას ადასტურებს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განსახილველ საკითხზე მყარად

²⁸ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში: სსკ), 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, 310-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>

²⁹ იხ. „რელაციის ტექნიკა“, იხ. ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ., „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2004 წ., 1-2.

დადგენილი პრაქტიკაც, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე³⁰ სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმებამდე, პირველ რიგში, შესამოწმებელია აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა. პალატამ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. საკასაციო სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით: „...გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება“.³¹

³⁰ იხ. სუსგ საქმე №ას- 121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი.

³¹ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების/საქმე №ას-664-635-2016/ დასკვნები 231-233-ე პუნქტებში და დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის /საქმე №ას-121-117-2016/ განჩინების დასკვნები 55-56-ე პუნქტებში; შდრ. სუსგ საქმე №ას-937-887-2015, 10 ნოემბერი, 2015წ.; №ას-17-14-2015, 1 ივლისი, 2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16 დეკემბერი, 2015წ.; №ას-773-730-2015, 8 სექტემბერი, 2015წ.; №ას-181-174-2016, 6

გარდა იმისა, რომ აღიარებითი სარჩელის მიღებისათვის საჭიროა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი წინაპირობები, რომლებიც მითითებულია 178-ე მუხლში, აღიარებით სარჩელს წაეყენება კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა - იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომლებიც გათვალისწინებულია 178-ე მუხლით, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე.³² განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან მას ვიღაც ედავება ამ უფლებაში.

„აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, საჭიროა, რომ: ა) მოსარჩელეს ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ემნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანაცვება დავის გადანაცვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანაცვეტის შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ემნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა; დ) აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიარება მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი“.³³

მაისი, 2016წ.; Nას-323-308-2016, 3 ივნისი, 2016წ.; Nას-407-390-2016, 10 ივნისი, 2016წ.; Nას-375-359-2016, 17 ივნისი, 2016წ.

³² იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, თბ., 2007, გვ. 311.

³³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანაცვეტის საქმეზე Nას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი.

შდრ. სუსგ საქმეზე Nას-1089-1009-2017, 5 დეკემბერი, 2017წ.; Nას-437-409-17, 29 სექტემბერი, 2017წ.; Nას-916-857-17, 12 სექტემბერი, 2017წ.; Nას-302-285-17, 16 ივნისი, 2017წ.; Nას-244-232-17 19 მაისი, 2017წ.; Nას-937-887-2015, 10 ნოემბერი, 2015წ.; Nას-17-14-2015, 1 ივლისი, 2015წ.; Nას-869-819-2015, 11 დეკემბერი, 2015წ.; Nას-1025-967-2015, 23 დეკემბერი, 2015წ.; Nას-323-308-2016, 3 ივნისი, 2016წ.; Nას-595-554-2017, 15 დეკემბერი, 2017 წელი.

აღიარებით სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე, ზემოაღნიშნული წინაპირობებიდან ერთ-ერთი საფუძვლით, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო პალატის მოსაზრებით, მთავარი კრიტერიუმი არ არსებობდა - მოსარჩელეს არ ედავებოდნენ უფლებებში ანუ მოსარჩელე მხარის უფლების დარღვევის მოცემულობა არ იყო სახეზე, განუხილველად დარჩა დასახელებული სარჩელი. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მოსარჩელემ თავისი პოზიცია პირგასამტეხლოს შესაბამისობასთან დაკავშირებით უნდა დააყენოს მას შემდეგ, რაც მოპასუხე (კასატორი) წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას მის მიმართ პირგასამტეხლოს კონკრეტული ოდენობის დაკისრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში არანაირი უფლების დარღვევა და უფლებებში შედავება არ არსებობს. სარჩელის დაყენების და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნაც ცხადია არ ქმნის მისი უფლების დარღვევის წინაპირობას, რადგან პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრული არის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, თუმცა რადგან მოსარჩელე მხარემ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალია, ეს პოზიცია მან უნდა წარადგინოს სასამართლოს წინაშე მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტეხლოს დაკისრებას. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს პირველი და სავალდებულო კრიტერიუმი, რომელიც დაადგინა და განსაზღვრა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ეს არის - მოსარჩელის უფლებებში შედავება. განსახილველ დავაში კი არანაირ უფლებებში მას არ ედავებიან; პირიქით, მან დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ასევე არ არსებობს აღიარებითი სარჩელის აღძვრისათვის აუცილებელი მეორე კრიტერიუმი - დავის არსებობა, რაც უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; არანაირი დავა არ არსებობს, კასატორის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრის შემდგომ მოპასუხეს მიეცემა შესაძლებლობა მიუთითოს პოზიცია პირგასამტეხლოს შესაბამისობასთან დაკავშირებით. ასევე, არ არის სახეზე აღიარებითი სარჩელის მესამე კრიტერიუმი - აღიარებითი სარჩელით დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიჩნევის შესახებ.“³⁴

³⁴ იხ. სუსგ საქმეზე Nას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებში მითითებულია, რომ თუ სასამართლოში აღძრული აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანს მოსარჩელის ინტერესი, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, 178-ე, 185-ე მუხლების საფუძველზე სასამართლო უარს ამბობს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.³⁵

სააპელაციო პალატამ აღიარებითი სარჩელის არსის დადგენის მიზნებისათვის განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენა, დოკუმენტის ნამდვილობის ან სიყალბის დადასტურება. აღიარებითი სარჩელი, თავისი სამართლებრივი ბუნებით, უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენას გავს, თუმცა, აღიარებითი სარჩელი უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან მკვეთრად განსხვავებული საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია. აღიარებითი სარჩელის არსებობის პირობებში არსებობს დავა მხარეებს შორის. აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობას მხოლოდ დარღვეული უფლების ან შელახული ინტერესის არსებობის ფაქტი არ წარმოადგენს. შესაძლებელია, რომ უფლება არც იყოს დარღვეული და არც ინტერესი იყოს შელახული, თუმცა, აუცილებელია, რომ უფლება სადავო იყოს. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის აღძვრის ერთ-ერთ წინაპირობას უფლებისა, თუ სამართლებრივი ინტერესის სადავოობა წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი ნორმები მოქმედებს. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი უნდა აღძრას საამისოდ უფლებამოსილმა სუბიექტმა და სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული უნდა იყოს ის, ვისთანაც მოსარჩელეს უფლება, თუ სამართლებრივი ინტერესი სადავო აქვს.

4. იურიდიული ინტერესის ცნება

³⁵ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, 2010 წ., უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 33.

როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებით სარჩელს წაეყენება დამატებითი წინაპირობა - იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებით სარჩელის მიღებასა და განხილვაზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა³⁶, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის აუცილებელია არსებობდეს მხარეთა შორის დავა უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე; მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, ასეთი დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ამ გადანყვეტილებას გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; ამასთან, აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ამ გარემოებაზე კანონში უშუალოდ არ არის მითითებული, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ იქნება ამ უკანასკნელით სამართლებრივად დაინტერესებული, რადგან მას შესაძლებლობა აქვს სარჩელის სხვა ფორმით უკეთესად მიაღწიოს მიზანს.³⁷

4.1.1. აღიარებით სარჩელში წარმოდგენილი ფაქტების მითითების და მათი მტკიცების ტვირთი

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოში საქმისწარმოება ხორციელდება დისპოზიციურობისა და შეტიბრებითობის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ინკვიზიციურობისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეზე განსახილველი დავის

³⁶ სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები, 2007 წლის 25 ივლისი, თბილისი, 14.

³⁷ იხ. ბოულინგი ჰ. პეტერ ლუტრინგჰაუსი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 9-11.

ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოდავე მხრეთა უფლება-მოვალეობების სრულად გამორკვევას. შესაბამისად, „სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობას, თვითინიციატივას, მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში იხილავს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეს და გამოაქვს არა არსებითად სწორი გადაწყვეტილება, როგორც ეს დამახასიათებელი იყო რეფორმამდელი სასამართლოებისათვის, არამედ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება პროცესის სამართლიან დასრულებას. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპის უარყოფის შედეგად, მივიღეთ სასამართლო ხელმძღვანელობის პრინციპი, რაც გამოიხატება „იმ გარემოების დამტკიცებაში, რომელსაც ემყარება მხარის მოთხოვნა“, „მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში“, „დაუმტკიცებელი გარემოების მეორე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტაში.“³⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში, სწორედ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მის ხარისხზე დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავის (კონფლიქტის) განხილვის საპროცესო შედეგი (საბოლოო რეზულტატი). ამიტომაც, აქტუალურია მტკიცების ტვირთის არსისა და მისი მნიშვნელობის გააზრება, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება და მისი რეალიზება.³⁹

როგორც წესი, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. აღნიშნულ ვალდებულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი აწესებს. ამასთან, ყურადსაღებია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება იმ საფუძველით, რომ როგორც დავის არსის მოკლე მიმოხილვის გრაფაში, ასევე დავის ფაქტობრივ გარემოებებში სრულყოფილად არ იყო

³⁸ იხ. ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, 26, 27.

³⁹ იხ. ი. გაგუა, „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თბილისი, 2013 წელი, 79.

⁴⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნომბრის განჩინება საქმეზე საქმე №2ბ/6731-14

მითითებული იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას ქმნის. ამასთან, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები ისევდაისევ მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასრულ სარჩელს მიიღებს და ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ მიუთითებლობისა და მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით, აღარ შეეძლება. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და მისი არსებითად განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის ჯეროვანი დაცვის უფლება.“ სასამართლოს განმარტებით, მხარე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, ამასთან, აღმოეხვრას ის ხარვეზი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. „უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რითაც მხარეს სასამართლოსათვის იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველითა და იმავე მხარის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება ერთმევა.“

დასახელებულ საქმეზე სააპელაციო პალატამ მიუთითა მხარის ვალდებულებაზე, რომ სარჩელის ხელახლა აღძვრის შემთხვევაში, მან სწორად უნდა ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნულ დავასთან მიმართებით მტკიცების საგანში შედის. მიზანშეწონილად მიმაჩნია, აქვე განიმარტოს, რას ნიშნავს მტკიცების საგანი და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება იგი: იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადავო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც შემხებლობაში არ არიან მხარეთა მოთხოვნებისა თუ, შესაგებლის შინაარსთან, ისინი არ შეიტანება მტკიცების საგანში. ამასთან,

მიგვაჩნია, რომ სარჩელის საგანი (მოთხოვნა) და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა არ შედის მტკიცების საგანში. ეს ორივე კომპონენტი ეხმარება სასამართლოს განსაზღვროს სარჩელისა და შესაგებლის საფუძვლად მითითებული იმ სადავო ფაქტების იურიდიული მნიშვნელობა, რომლებიც შედის მტკიცების საგანში.⁴¹ ამ მოსაზრების თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების იურიდიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს სასამართლო, რასაც სრულებით ვეთანხმები ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე.

„უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მტკიცების საგანში არ მოიაზრება ყველა ის ფაქტი, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის „არსებითად სწორი“ გადანყვეტისათვის, საქმეზე „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენისათვის, არამედ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც მიუთითებენ თავად საქმეში მონაწილე მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე). შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და შესაგებელს და, რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მათ მიერ მითითებული სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებები.“⁴²

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორია მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით აღწერს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების რაობას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, მტკიცების საგანში მოიაზრებს ფაქტებსა და გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალსაც. „ამასთან, ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარეგან და შინაგან (განზრახვა, განსაზღვრული გარემოებების ცოდნა) ფაქტებს. სხვაობა შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი ფაქტები შესაძლოა მიუღწეველი იყოს და, როგორც წესი დგინდება გარეგანი ფაქტების მეშვეობით. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების კლასიფიკაცია დამოუკიდებელია მოვლენაზე ან ქმედებაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ან რომლებიც განხორციელდა, ან რომლებსაც ადგილი არ ჰქონია ან რომლებიც არ განხორცილებულა. გარდა ამისა, გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში

⁴¹ იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 62.

⁴² იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 63.

განსხვავებენ ფაქტებს, რომლებიც უშუალო კავშირშია გამოსაყენებელი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან და ირიბ ფაქტებს, რომლებსაც არა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის.⁴³ ვფიქრობ, მტკიცების საგნის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ უნდა მოხდეს მტკიცების საგნის შევიწროვება იმგვარად, რომ გამოიწვიოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა ერთი ნაწილის არასრულფასოვან გამოკვლევას, „რაც საბოლოოდ, გამოიწვევს საქმის განხილვის ცალმხრივობას,⁴⁴ ან პირიქით - იმგვარად გაფართოება, რაც გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის არმქონე ფაქტების გამოკვლევას; „ძალისა და საშუალებების უნაყოფოდ ხარჯვას, სასამართლოს ყურადღების გაფანტვას უმნიშვნელო გარემოებებზე; საბოლოო ჯამში, საქმის გამოკვლევა-განხილვის სრულიად გაუმართლებელ გაჭიანურებას და ზედმეტი საპროცესო ხარჯების განევას.“⁴⁵

კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე დასადგენი ფაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ხასიათითა და შინაარსით, ასევე იმ შედეგით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი, რაც ზემოთ მოყვანილი სააპელაციო სასამართლოს განჩინებითაც წარმოჩინდა. „ჯერ კიდევ, სარჩელის წარმოებაში მიღების დროს სასამართლო აღგენს ისეთი გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ საპროცესოსამართლებრივი შედეგი (სარჩელის წარმოებაში მიღება, უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე). მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი მიღებულია წარმოებაში, წამოიჭრება მეორე საკითხი, კერძოდ, რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს სწორად გადაწყვიტოს საქმე (მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „რაც შეეხება მტკიცებულებებს, იგი ვალდებულია თითოეული ფაქტი დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებულებით, ხოლო იმ მტკიცებულების წარმოდგენა, რომლის მოპოვება მისთვის შეუძლებელი გახდება, შესაძლებელია მათი წარმოდგენა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის გზით, თუმცა, აღნიშნული უფლება არ ათავისუფლებს მოსარჩელე მხარეს ფაქტების მითითებისა და აღნიშნული ფაქტების

⁴³ იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 63.

⁴⁴ იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 69.

⁴⁵ იხ. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 69.

დამადასტურებელი სხვადასხვა მტკიცებულებების მოძიების ვალდებულებისაგან.⁴⁶

ვფიქრობ, აღნიშნულ მსჯელობაში სააპელაციო პალატამ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად და სამართლიანად განმარტა მოსარჩელე მხარის ვალდებულებები ფაქტობრივი გარემოებების, მის საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებისა და მათი დამტკიცებისათვის საჭირო მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმგვარ ფაქტობრივ ვითარებას, როდესაც სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპს მნიშვნელობა დაეკარგება და სასამართლო ვალდებულები იქნება ნებისმიერი ფორმალურად გამართული სარჩელი განსახილველად მიიღოს და მისი საფუძვლიანობა შეამოწმოს მხოლოდ საქმის მომზადების ეტაპზე, რაც დროის და ფინანსების კუთხით მეტ რესურსს მოითხოვს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებების მითითება აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, ვინაიდან, მოსარჩელე სწორედ ამ გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების საშუალებით შეძლებს უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენას. სწორედ მის ინტერესშია სარჩელში იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათი დამადასტურებელ მტკიცებულებების მითითება, რომელთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად მიიღება სასამართლო გადაწყვეტილება. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სარჩელის შინაარსის განმსაზღვრელი 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ასევე სავალდებულოდ ადგენს მტკიცებულებების მითითებას, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ სარჩელში დასახელებულ გარემოებებს. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი ან ალტერნატიული.⁴⁷ სარჩელის შინაარსის განმსაზღვრელი მუხლი ეხება აღიარებით სარჩელსაც, ვინაიდან, შეჯიბრებითობის პრინციპი ვრცელდება არამართო სსსკ-ის

⁴⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნომბრის განჩინება საქმეზე საქმე №2ბ/6731-14

⁴⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე N2ბ/3898-13.

178-ე მუხლით გათვალისწინებულ სარჩელზე, არამედ, მთლიანად სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაზე.

შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო შებოჭილია მხარეთა მიერ მიითითებული გარემოებებით; მოსარჩელე თავად განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. ამიტომ „სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ზუსტად, ნათლად და კონკრეტულად და შესაძლებელი უნდა იყოს მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.“⁴⁸

აღნიშნულ საკითხზე დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად, ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ერთის მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლო უარს ამბობს მოსარჩელის დაუზუსტებელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლო საჭიროდ არ თვლის ამგვარი მოთხოვნის დაზუსტებას, ვინაიდან, კონკრეტული დავის ფარგლებში საკითხის გადანწყვეტა წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. კერძოდ, „სასარჩელო განცხადებაში მხარის მიერ პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ მოთხოვნის ნაწილში კონკრეტული თანხის ოდენობის მიუთითებლობა, არ შეიძლება გახდეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან, როგორც აღინიშნა, საკითხს იმის თაობაზე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუსაბამოდ მაღალია თუ არა პირგასამტეხლო, ექვემდებარება თუ არა იგი შემცირებას და კონკრეტული დავის მიხედვით, ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, როგორ უნდა განისაზღვროს მისი ოდენობა, საბოლოოდ აფასებს და წყვეტს სასამართლო“.⁴⁹

მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნის თაობაზე გადანწყვეტილების მიღების დისკრეციიდან გამომდინარე, გამართლებულია სასამართლოს ამგვარი განმარტება, თუმცა, დასაფიქრებელია, რამდენად შესაბამისობაშია სსსკ-ის 248-ე

⁴⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე N2ბ/3105-14.

⁴⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე N2ბ/3105-14.

მუხლის დანაწესთან. სახელდობრ, გასათვალისწინებელია ის ვითარება, როცა სასამართლო იმაზე მეტი ოდენობით ამცირებს პირგასამტეხლოს, ვიდრე ეს მოთხოვნის ავტორს წარმოედგინა და შეიძლებოდა, რომ მოეთხოვა. ასეთ სიტუაციაში, თეორიული თვალსაზრისით, სასამართლოს ქმედება სცილდება სსსკ-ით დადგენილ იმპერატიულ დანაწესს და იგი მხარეს მიაკუთვნებს იმაზე მეტს, ვიდრე ეს უკანასკნელი მოითხოვდა. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, მხარე ყოველთვის ეცდება მისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მაქსიმალურად შემცირებას, რაც ლოგიკურია და სასამართლოს გადანყვეტილებაც სსსკ-ის 248-ე მუხლის ფარგლებში რჩება, ვინაიდან, სწორედ ამგვარი პრაქტიკა და არსებული რეალობა განაპირობებს ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის გამართლებას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპების მოქმედების პირობებში მხოლოდ ფაქტებზე მითითება არაა საკმარისი სასურველი საპროცესო შედეგის მიღწევისთვის, არამედ, აუცილებელია მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთის რეალიზება. რათმქმუნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს ეკისრება სხვადასხვა გარემოებების დამტკიცების ვალდებულება, რომელიც სადავო სამართალურთიერთობისა და თავად ამ კონკრეტული დავის გარემოებებზეა დამოკიდებული.

აღიარებით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი უფრო მაღალი სტანდარტით ფასდება, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, და ამ ყველაფერთან ერთად აღიარებითი სარჩელისთვის დამატებით დანესებული წინაპირობის (იურიდიული ინტერესი) არსებობის პირობებში, სწორედ სარჩელის ავტორის მტკიცების რეალიზებაზეა დამოკიდებული საქმის საბოლოო შედეგი.⁵⁰

4.2.2 მართლზომიერი იურიდიული ინტერესი და მისი დადგენის პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში განმარტებულია, რომ „დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო

⁵⁰ იხ. ბოულინგი კ. პეტერ ლუტრინგჰაუსი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 10-11.

სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას⁵¹. აღნიშნული განმარტების შესაბამისად, მართლზომიერი იურიდიული ინტერესი ნიშნავს პირის ინტერესს გარკვეული სამართლებრივი შედეგის მიმართ, რომლის მიღწევის მიზნითაც იგი აღიარებით სარჩელს წარადგენს. საკასაციო პალატის მითითებით⁵², „სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესის თანახმად, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: ა) მოსარჩელეს უნდა ეღადავებოდნენ უფლებები; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა მიიღებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. დ) აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი“⁵³.

იურიდიული ინტერესი არის არა სარჩელის შინაარსის საკითხი, არამედ, ამ სარჩელის აღძვრის, მისი განსახილველად მიღების წინაპირობა⁵⁴. როგორც წესი, ამ საფუძვლით სასამართლო უარს ამბობს აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც სრულიად გამართლებულია, გამომდინარე კანონის დანაწესიდან, რაც იმპერატიულად მოითხოვს აღიარებითი სარჩელის განსახილველად მიღებისათვის ზემოაღნიშნული წინაპირობის არსებობას. ამასთან, ყურადსაღებია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „აღნიშნული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული ინტერესის არსებობის გამორკვევა წარმოადგენს აღიარებითი სახის სარჩელის დასაშვებობის ძირითად წინაპირობას. აღნიშნული, თავის მხრივ,

⁵¹ იხ. სუსგ საქმეზე №ას-125-121-2016, 3 აპრილი, 2016 წელი.

⁵² იხ. სუსგ დასახელებულ საქმეზე.

⁵³ იხ. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007წ., გვ.311.

⁵⁴ იხ. სუსგ საქმეზე №ას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

მჭიდროდ უკავშირდება საკითხის გამორკვევას, ნამდვილად აღიარებითი სარჩელი გვაქვს სახეზე, თუ სინამდვილეში მოსარჩელეს სურს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა. სასამართლომ მიუთითა, რომ წინამდებარე სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე შეუძლებელია მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დადგენა, აქედან გამომდინარე მოსარჩელემ კონკრეტულად უნდა მიუთითოს საბოლოოდ რა მიზნის მიღწევა სურს, ასევე მიუთითოს კონკრეტულად გარემოებები, რომლებზედაც მოპასუხეთა მიმართ დაამყარებს მოთხოვნას და შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ ამ გარემოებს. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ მოსარჩელემ უნდა დააკონკრეტოს მისი უფლება უკვე დარღვეულია თუ მომავალში წარმოიქმნება საშიშროება ამ უფლების დარღვევისა და თუკი, მისი უფლება უკვე დარღვეულია პროცესუალური ეკონომიისა და სწორი მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მან უნდა აღძვრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი და არა აღიარებითი. სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“.⁵⁵

სასამართლოს გემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აღიარებითი სარჩელის მართლზომიერი იურიდიული ინტერესის დადგენისათვის დაწესებულია მაღალი სტანდარტი, რაც გამოიხატება არამართო დავის ფაქტობრივი გარემოებების მითითებაში, არამედ, ასევე იმ საბოლოო შედეგზე, რომლის მიღწევაც მას ამ აღიარებითი სარჩელის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით სურს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების საბოლოო შედეგით, მისი აღსრულებით რამდენად დასრულდება დავა, მიიღწევა თუ არა შედეგი.⁵⁶ ამასთან, სხვა საქმეზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „იურიდიული ინტერესი არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით, ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ, აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც. იურიდიული ინტერესების მიღწევადობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, თუ სამართლებრივად რამდენად დაკუთვნილია შედეგები, რომელთა დადგომაც სურს მოსარჩელეს. მოცემულ

⁵⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება საქმეზე №2ბ/3499-16.

⁵⁶ იხ. ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (Hornsby v. Greece N18357/91 §40. 19.03.1997).

შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მისი იურიდიული ინტერესია ამხანაგობის სართო სარგებლობაში არსებული ფართი დაბრუნდეს ისევე ამხანაგობის საერთო სარგებლობაში, ამისთვის კი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კრების ოქმის სიყალბის დადგენა⁵⁷. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მართლზომიერი იურიდიული ინტერესი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები და აღიარებითი სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი ამართლებს აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად უნდა იქმნებოდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობა, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

ვიდაიდან აღიარებითი სარჩელი და მისი აუცილებელი წინაპირობა - მართლზომიერი იურიდიული ინტერესი, გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, საინტერესო იქნება მათი მიმოხილვა სხვადასხვა სამოქალაქო სამართალურთიერთობების ჭრილში; ასევე, მართლზომიერი იურიდიული ინტერესის სასამართლო პრაქტიკაში დადგენის პრობლემის განხილვა და ანალიზი. მაგალითად, აღსანიშნავია, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁵⁸ მოცემული განმარტება: „გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში აღძრულია აღიარებითი მოთხოვნა, რომელიც მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების - კრედიტორული დავალიანების შემცირებისკენაა მიმართული, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელეს/მოვალეს სურს რომ მიიღოს, უნდა არსებობდეს დავა ვალდებულების შესრულებაზე - თანხის, სახელდობრ, პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე, რომლის სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო სსკ-ის 50-ე, 327-ე, 623-ე, 417-ე, 418-ე, 361-ე მუხლები. სახელშეკრულებო სარჩელის აღძვრის შემთხვევაში კი, მოვალე/მოპასუხე (განსახილველი სარჩელით მოსარჩელე) ისარგებლებდა წარედგინა ყველა ის მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი (სსსკ-ის 201-ე მუხლი), რომლებიც დაკავშირებულია პირგასამტეხლოს მოთხოვნის წარმოუშობლობასთან (სსკ-ის 50-ე, 59, 69.2-ე, 418-ე და ა.შ.), ნაწილობრივ გამოორიციხვასთან (სსკ-ის 420-ე მუხლი)

⁵⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/3195-16.

⁵⁸ იხ. სუსგ საქმეზე Nას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

და ა.შ. მანამდე კი, მიიჩნევა, რომ არ არსებობს დავა უფლებებზე. სწორედ ამიტომ, ვიდრე საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, პირველ რიგში, შესამოწმებელია აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა“.⁵⁹

„აღსანიშნავია, რომ თუკი მოსარჩელის მიზანს, სარჩელის აღძვრის ინტერესს თეორიულად წარმოადგენს მოსარჩელის გათავისუფლება დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, რადგან მას ხელი ეშლება ვალდებულება შეწყვიტოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით (სსკ-ის 427-ე მუხლი), ვინაიდან შიშობს, რომ მის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანით ხელშეკრულების სტანდარტული პირობის შესაბამისად, პირველ რიგში, დაიფარება პირგასამტეხლო (ხელშეკრულებიდან გადახდის პირობების შესაბამისად), საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული არ აკმაყოფილებს მართლზომიერი იურიდიული ინტერესის ნორმატიულ პირობას, რადგან მოვალის მოლოდინი, რომ შესრულება ჩაითვალება პირგასამტეხლოს ანგარიშში, რაც ხელს შეუშლის მისი უფლების სამომავლოდ რეალიზაციას [სსკ-ის 361-ე მუხლის დისპოზიცია: ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას], შესაძლოა გამოირიცხოს ძირითადი თანხის ნაწილში გადახდითა და იმაზე მითითებით, რომ მოვალე არ ეთანხმება პირგასამტეხლოს დარიცხვას.

იმავედროულად, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება.⁶⁰ ნიშანდობლივია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის

⁵⁹ იხ. სუსგ საქმეზე Nას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი

⁶⁰ შდრ. სუსგ Nას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი.

უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ „გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის“.⁶¹ ამასთან, საქმეზე შპს „იზა და მაკრაჰიძე“ საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.“⁶²

კიდევ ერთ საქმეზე⁶³ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ერთ-ერთი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ არ დადასტურდა მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი [სსსკ-ის 180-ე მუხლი], რადგან, წარმომადგენლის მიერ უძრავი ქონების საკუთარ თავზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაფორმება, სადავო მინდობილობაში გამოვლენილ ნებას არ ეწინააღმდეგებოდა და შესაბამისად, არ არსებობდა პირველი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. ასეთ ფაქტობრივ ვითარებაში მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც მოსარჩელისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგი არ დადგება, ვინაიდან, უძრავ ქონებაზე კვლავ მინდობილი პირის საკუთრების უფლება აღსდგება, რაც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის

⁶¹ სუსგ საქმეზე №ას-964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 წელი, პ-15.4.3.

⁶² IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40.

⁶³ სუსგ საქმეზე №ას-79-75-2017, 19 დეკემბერი, 2017 წელი.

მიმართ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს გამორიცხავს. აღნიშნული გარემოება კი, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი წინაპირობაა [სსკ-ის 180-ე მუხლი და სსკ-ის 56-ე, 185-ე 312-ე მუხლები].

საგულისხმოა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ან/და დაკმაყოფილებისათვის საჭირო მართლზომიერ იურიდიული ინტერესთან დაკავშირებით ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას“.⁶⁴

სხვა საქმეზე⁶⁵ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ აღიარებით სარჩელზე მოპასუხის მიერ განხორციელებული ე.წ. კვალიფიციური შედაგების შედეგად საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საჭირო მართლზომიერი იურიდიული ინტერესი, რამდენადაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ნივთის ამჟამინდელი მესაკუთრე წარმოადგენდა მის კეთილსინდისიერ შემძენს. კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებს კი, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე, იცავს სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმები, რომელთა კონსტიტუციურობის საკითხზე, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს, მსჯელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

სარჩელი აღიარებითია თუ მიკუთვნებითი, ეს კლასიფიკაცია დოქტრინის საქმე უნდა იყოს და არა კანონმდებლობის. განხილული სასამართლოს განმარტებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლომ მაშინ უნდა დააკმაყოფილოს აღიარებითი სარჩელი, თუ პირს ექნება რეალური იურიდიული ინტერესი. ამგვარი ინტერესი აქვს თუ არა მოსარჩელეს, უნდა დადგინდეს ნებისმიერი სარჩელის განხილვისას, რამეთუ მარტოოდენ ფორმალური მითითება სარჩელში, რომ პირს გააჩნია იურიდიული ინტერესი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი სახეზეა. ეს უნდა გაირკვეს პროცესის მიმდინარეობისას და აისახოს სასამართლოს

⁶⁴ იხ. სუსგ საქმეზე №ას-125-121-2016, 3 აპრილი, 2016 წელი.

⁶⁵ იხ. სუსგ საქმეზე №ას-1039-979-2015, 23 დეკემბერი, 2015 წელი.

გადაწყვეტილებაში. 181-ე მუხლი ფაქტობრივად აღიარებითი სარჩელია. საქმე იმაშია, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მასში უნდა მიეთითოს იურიდიული ინტერესი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი მოთხოვნის დაწესებამ გამოიწვია მოსარჩელეთა უფლებების გაუმართლებელი ხელყოფა საქმის აღძვრის სტადიაზე. კერძოდ, სასამართლოები სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად ხშირად უთითებენ, რომ წარმოდგენილია აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელის მიერ მითითებული არ არის იურიდიული ინტერესი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იურიდიული ინტერესი არის არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შედეგი, არამედ საზოგადოებაში რეალურად არსებული მოვლენა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს. ამდენად, იურიდიული ინტერესი მხარეს უნდა გააჩნდეს არა მარტო აღიარებითი სარჩელის აღძვრისას, არამედ ნებისმიერი სარჩელის შეტანის შემთხვევაში.⁶⁶

4.2.3 უფლების სადავოობა, როგორც მოსარჩელის ჰიპოტეტური ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრისას

ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე აღძრავს აღიარებით სარჩელს, რეალურად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული სარჩელის მიღებისა და გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, გამომდინარე უფლების სადავოობის დადგენის პრობლემიდან. კერძოდ, მაშინ, როცა სარჩელის ავტორს მიაჩნია, რომ მის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი მისი სადავოდ გამხდარი უფლების დაცვას ემსახურება, თუმცა, რეალურად მისი ინტერესი ჰიპოტეტურია და შესაძლოა, უფლება სადავოც კი არ იყოს. მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ „აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დასაბუთების მიზნებისათვის, უნდა იკვეთებოდეს ის ფაქტი, რომ უფლება, რომლის აღიარებასაც მოსარჩელეები მოპასუხეებისაგან მოითხოვენ, სადავოა. მოდავე მხარეს კი სწორედ მოპასუხეებად დასახელებული პირები უნდა წარმოადგენდნენ, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. გარდა ამისა,

⁶⁶ იხ. ცქიტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი, 6.

სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელებმა უნდა დაასაბუთონ, თუ ვინ არიან იმ ფართების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები, რომელზეც მოსარჩელები უფლების აღიარებას მოითხოვენ, ვინაიდან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება სამომავლოდ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობა შეიძლება გახდეს. მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის პირობებში, აღიარებით სარჩელში დასახელებული მოპასუხეები ქონებრივი სიკეთის გადაცემაზე (მიკუთვნებაზე) უფლებამოსილი პირები უნდა იყვნენ. ამასთანავე, არ დგინდება, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი სუბიექტი იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის შესაბამისად არ მოხდება მოსარჩელებისათვის მოთხოვნილი ფართების მიკუთვნება. ამდენად, წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელის პირობებში საქმის განხილვის შემთხვევაში უნდა იკვეთებოდეს, რომ მოპასუხეები სარჩელში დასახელებული ფართების მოსარჩელებისათვის გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტები არიან, ასევე უნდა დასტურდებოდეს, რომ აღნიშნული ფართების მოსარჩელებისათვის გადაცემა მოპასუხეთა მხრიდან შეცილებული ან სადავოა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აღიარებით სარჩელში მოპასუხედ დასახელებული პირების სამომავლოდ აღსაძრავ მიკუთვნებით სარჩელზე დასახელებული მოპასუხეები შეიძლება იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ქონებრივი პასუხისმგებლობა დასახელებულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ცალსახად და არაორაზროვნად უნდა დასტურდებოდეს. საგულისხმოა ასევე, რომ ამგვარ სარჩელში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ მოპასუხედ დასახელებული პირები მოსარჩელებისათვის სადავო ფართის გადაცემას რა საფუძვლით ხდიან სადავოდ, და თუ სადავოდ არ ხდიან, რატომ არიან აღნიშნულ სარჩელზე მოპასუხეებად დასახელებულნი.⁶⁷

4.2.4 კონკურენცია მიკუთვნებით სარჩელსა და აღიარებით სარჩელს შორის

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მიკუთვნებითი სარჩელი სასამართლო პრაქტიკაში ძალზედ გავრცელებულია, რომელიც აღიარებითი სარჩელისაგან იმით განსხვავდება, რომ მას უფრო რთული საგანი გააჩნია, რამეთუ მიკუთვნებით სარჩელში მოსარჩელე მოითხოვს არა მხოლოდ სადავო მატერიალური უფლების არსებობის ფაქტის აღიარებას (დადასტურებას), არამედ აგრეთვე იმასაც, რომ სასამართლომ აიძულოს მოპასუხე შეასრულოს

⁶⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4875-14.

განსაზღვრული მოქმედება (მასზე დაკისრებული მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებანი) ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან“.⁶⁸

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ მხარეს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შეუძლია. ზოგადად, სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემონშება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს მისი დასაშვებობა საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ სარჩელის სახეებად დაყოფას (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი) პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, რადგანაც, პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უნდა მიაღწიოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის მისთვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ უნდა არსებობდეს.“⁶⁹ ამასთან, საკასაციო პალატამ მიუთითა სსსკ-ის 180-ე მუხლის

⁶⁸ იხ. ქურდაძე შ., „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბილისი, 2016 წ., 479.

⁶⁹ სუსგ საქმეზე Nას-955-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი.

შინაარსიდან გამომდინარე, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი კრიტერიუმებზე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში სასამართლოს მსჯელობაზე.⁷⁰

აღიარებითი და მიკუთვნებითი სარჩელების გამიჯვნისას საინტერესოა სააპელაციო პალატის განმარტებაც, რომლის თანახმად, „სასამართლო აღიარებით სარჩელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს წარმოებაში, თუ აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიკუთვნებითი მოთხოვნის არარსებობა და მხოლოდ აღიარებითი მოთხოვნის მიმართ ინტერესი. თუ აღიარებითი მოთხოვნის ინტერესი მიკუთვნებითი ხასიათისაა, მაშინ აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებით სასამართლო პროვოცირებას გაუკეთებს ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე ორმაგი სასარჩელო წარმოების წარმართვის აუცილებლობას, რაც ეწინააღმდეგება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითად პრინციპს. აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების მიზნებისათვის იურიდიული ინტერესის არსებობა სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთი და არა ერთადერთი წინაპირობაა“.⁷¹

ერთ-ერთ საქმეზე გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ დავაზე, მიუხედავად იმისა, რომ ვლინდებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვებია იყო აღიარებითი სარჩელი. სინამდვილეში, სარჩელში აღნიშნული იყო, რომ დავის დაწყების მიზანი ქონებრივი დანაკლისის თავიდან აცილება და, აქედან გამომდინარე, მოპასუხის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობის უფლების გაუქმება იყო. მართალია, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი და დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოება, თუმცა, ამ ფაქტთან მიმართებით, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). **გამართულობის შემოწმებისას მას უნდა განეხილა და პასუხი გაეცა იმ საკითხზე, თუ რა სურდა**

⁷⁰ შდრ. სუსგ Nას-838-802-2014, 19 მარტი, 2015 წელი; Nას-932-872-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წელი.

⁷¹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N2ბ/4875-14.

მოსარჩელეს. საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს ამ უკანასკნელისთვის უნდა მიეცა სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების საშუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგებების ბათილობა არა დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად უკან დაბრუნება) წინაპირობას წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს თვითონ უნდა გამოეკვლია, თუ რა სახის მიკუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება, გააჩნდეს მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ და მას შემდეგ, რაც მოსარჩელე სარჩელის გარემოებებსა და მოთხოვნას დააზუსტებდა, უნდა დაედგინა რომელი სამართლის ნორმიდან ან ნორმებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამგვარი მოთხოვნა (სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი) და შესრულებულია თუ არა იმ სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წანამძღვარი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.⁷²

5. სასამართლოს როლი აღიარებითი სარჩელის შემონმებისას

როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, განსაკუთრებით ისეთ სამართლებრივი საკითხების ანალიზისას, როგორცაა საპროცესო ინსტიტუტები. პროცესუალური სამართლის პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა და პრაქტიკული ხარვეზების შევსება სწორედ სასამართლოს განმარტებებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის დახვეწის შედეგად ხორციელდება. ამიტომ, განსახილველი თემის ფარგლებში მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღიარებითი სარჩელის შემონმებისას სასამართლოს როლზე საუბარი.

ვინაიდან უკვე მიმოვიხილეთ და გავაანალიზეთ აღიარებითი სარჩელის ფორმალური დასაშვებობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, განვიხილოთ მისი შინაარსობრივი შემონმებისას სასამართლოს დამოუკიდებულება სხვადასხვა გადაწყვეტილების/განჩინების მაგალითზე: „აღიარებითი სარჩელის

⁷² იხ. სუსგ საქმეზე Nას-1219-1139-2017.

დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება, რომლის განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან; მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გამო, უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში“.⁷³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღიარებითი სარჩელის შინაარსობრივი შემოწმებისა და დავის გადაწყვეტისას მიუთითა საქმის არსებით გარემოებებზე და ქვედა ინსტანციის სასამართლოების ფაქტობრივ-სამართლებრივ შეცდომაზე: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ ინფორმირება ამხანაგობის წევრების კრებაზე მოწვევის, კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მათი მონაწილეობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეებს ეკისრებოდათ, რაც უზრუნველყოფილი ვერ იქნა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ კრების მოწვევისა და ჩატარების პროცესში სავალდებულოა ამხანაგობის წევრთა ინფორმირება განსახილველი საკითხების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის სხვენის გასხვისება ამხანაგობის ისეთი განვითარებაა, რომელიც ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. სხვენის გასხვისების ან მანსარდის მოწყობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელი იყო მოსარჩელის კრებაზე მიწვევა და ამხანაგობის საერთო ქონების გასხვისებაზე მისი თანხმობა. ასეთი ნება მოსარჩელეს არ გამოუხატავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სადავო კრების ოქმები, რომელშიც ამხანაგობის წევრთა სახელით ფორმულირებულია ბმა-ის გადაწყვეტილება, წარმოადგენს გარიგებას – ამხანაგობის წევრთა მრავალმხრივი ნების, რომლის ბათილად ცნობის, როგორც აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების, წინაპირობად უნდა იკვეთებოდეს მოსარჩელის

⁷³ იხ. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე“ (2014 წლის II ნახევარი – 2015 წელი), საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, თბილისი, 2017, გვ. 156.

ნამდვილი იურიდიული ინტერესი. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო კრების ოქმებით ილახება მისი, როგორც ამხანაგობის წევრის უფლება და მათი გაუქმების შემთხვევაში, მას მიეცემა მისი რეალიზაციის უფლება, თუმცა საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა სადავო კრების ოქმებით დამდგარი იურიდიული შედეგის გაუქმებით კონკრეტულად რა დადებითი მატერიალურსამართლებრივი შედეგი დადგებოდა უშუალოდ მოსარჩელისათვის, როგორც ამხანაგობის ერთ-ერთი წევრისათვის – გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა და რა კუთხით⁷⁴.

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მოსამართლემ, საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს კანონით მინიჭებული შეკითხვის დასმის უფლება, რათა ხელი შეუწყოს საქმის გადანვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. აღნიშნული დანაწესი შეიცავს საკმაოდ ნათელ კრიტერიუმებს იმის თაობაზე, თუ რა საკითხების გასარკვევად უნდა მიეცეს შეკითხვები მხარეებს. ეს საკითხებია: „ა) მტკიცების საგნის ანუ იმ გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრა, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. მართალია, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს, მაგრამ, თუ მხარეები მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნებს (შესაგებელს), სასამართლომ დრო არ უნდა

⁷⁴ იხ. სუსგ საქმეზე Nს-17-14-2015, 1 ივლისი, 2015 წელი.

დაკარგოს ასეთი გარემოებების დადგენისათვის. მტკიცების საგანი საბოლოოდ უნდა დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მათთვის შეკითხვების მიცემის მეშვეობით; ბ) ყველა იმ მტკიცებულების გამოვლენა, რომლებიც, მართალია არ არის წარდგენილი სასამართლოში, მაგრამ რომლებიც შეიძლება გააჩნდეთ მხარეებს, აგრეთვე, წარდგენილ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნილობის (მნიშვნელობის) საკითხების გარკვევა, ასევე ის, არის თუ არა მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების დასადასტურებლად წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულება და რომელი მხარეა ვალდებული ასეთი მტკიცებულება წარადგინოს; გ) რამდენად სარწმუნო და უტყუარია წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლომ მხარეთა წინაშე შეიძლება დასვას სხვა საკითხებიც, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის (სსკ 218-ე მუხლი)⁷⁵.

5.1. მოპასუხის კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობისას

მოპასუხედ დასახელებული პირი აღჭურვილია უფლებით, დაეთანხმოს მის წინააღმდეგ წარდგენილ პრეტენზიებს – ნაწილობრივ ან სრულად ცნოს სარჩელი. სწორედ მოპასუხის დისპოზიციური ნების დაცვის ინსტრუმენტად გვევლინება სარჩელისაგან თავდაცვის იმგვარი საპროცესო საშუალებები, როგორიცაა შესაგებლისა და შეგებებული სარჩელის ინსტიტუტი. შესაგებელი არ წარმოადგენს კანონის ფორმალურ დანაწესს⁷⁶ და როგორც მისი არასაპატიოდ წარუდგენლობა, ისე, შინაარსობრივი დასაბუთება მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული. სსსკ-ის 201-ე მუხლი არეგულირებს შესაგებლის წარდგენის სტანდარტს, რომელიც უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-4 მუხლთან შესაბამისობაში (შეჯიბრებითობა) და იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მოპასუხის შედავება, შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია.

აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობისთვის არსებითი მნიშვნელობისაა მოპასუხის კვალიფიციური შედავება იმდენად, რამდენადაც მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ვალდებულია სამართლებრივად მართებულად შეათვასოს

⁷⁵ იხ. იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992, გვ. 236-237.

⁷⁶ იხ. სუსგ საქმეზე Nას-1013-956-2015.

სარჩელის დასაშვებობისა თუ გადაწყვეტის საკითხი, შედეგი ღვება მხარეთათვის და სწორედ ეს უკანასკნელი უფრო მეტად უნდა იყვნენ მათი საპროცესო-სამართლებრივი უფლებების რეალიზებით დაინტერესებულნი. ამასთან, საპროცესო კოდექსი ადგენს მოპასუხის მოვალეობას, უპასუხოს მოსარჩელის მიერ მითითებულ და საქმისათვის (მოთხოვნის წარმოშობა-არწარმოშობისათვის) რელევანტურ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს (მხოლოდ) მოსარჩელის ახსნა-განმარტებებისა და მითითებების საფუძველზე.⁷⁷ აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები - შეჭიბრებითობა და დისპოზიციურობა საკმაოდ ხელსაყრელია მხარისათვის, ვინაიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოს თვალთახედვიდან გამორჩება აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის რაიმე საფუძველი, ამის თაობაზე მითითებით მოპასუხეს ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნული სარჩელის მიღებისა და განხილვის საწყის ეტაპზევე აღმოთხვრას იგი, რითაც თავიდან იქნება აცილებული ფუჭი სამართალწარმოება.

რაც შეეხება აღიარებითი სარჩელის შინაარსობრივი კუთხით დაუშვებლობას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპასუხე არ წარადგენს კვალიფიციურ შედავებას, სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან ერთად სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს რამდენად არის საკმარისი მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ამიტომ, მოპასუხის კვალიფიციური შედავება მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის გადაწყვეტაში როგორც სასამართლოს მოსამზადებელ ეტაპზე, ასევე, მისი არსებითი განხილვის სტადიაზე.

5.2. საქმის მომზადების ეტაპის ეფექტური გამოყენება აღიარებითი სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისთვის

ზოგადად, სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიაზე მოსამართლისა და მხარეების მიერ შესასრულებელი მოქმედებების სისწორეზე ბევრი რამაა დამოკიდებული. კერძოდ, „დარღვეული უფლება ან დაუცველი აღმოჩნდება საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებელი უარის გამო, ანდა, შესაძლოა, მოსამართლის არასწორი

⁷⁷ იხ. თომას ჰერმანი, „მტკიცებულებითი სამართალი“, თბილისი, 2016, გვ. 7

მოქმედების შედეგად არამართლზომიერად დაიწყო პროცესი“.⁷⁸ ასევე, შესაძლოა, სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობის იყოს მხარეთა მიერ შესასრულებელი მოქმედებები, ვინაიდან, თავად საპროცესო კანონმდებლობა მნიშვნელოვან როლს აკისრებს მხარეთა აქტიურობასა და თვითინიციატივას, ვინაიდან, სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მაგალითად, სარჩელის ფორმალურ საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობაზე დავა.⁷⁹ მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა, იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა), რა დროსაც სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, თუ რა სურდა მოსარჩელეს. „მართლმსაჯულების ეფექტურობა მის საპროცესო ეკონომიაშიც გამოიხატება და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მეშვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში, მოთხოვნილი აქტების ბათილობა, სავარაუდოდ, იმის წინაპირობას წარმოადგენდა, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის დაზუსტება, მოთხოვნის გამართულად ჩამოყალიბება არ წარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელიც დადგენილია სსსკ-ის 381-ე მუხლით და დაუშვებლად მიიჩნევა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დავის საგნის შეცვლას ან გადიდებას.“⁸⁰

აღიარებითი სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობისაა საქმის მომზადების ეტაპის ეფექტური გამოყენება, ვინაიდან, სწორედ ამ ეტაპზევეა შესაძლებელი გამოირიცხოს სარჩელის საფუძვლიანობა ფორმალური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით. კერძოდ, ამ ეტაპზე სასამართლოს აქვს საკმაო შესაძლებლობა, საბოლოოდ დააზუსტოს და

⁷⁸ იხ. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წ., 559.

⁷⁹ იხ. სუსგ საქმეზე Nას-595-554-2017.

⁸⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, გვ. 39.

განსაზღვროს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოებები, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.⁸¹

რაც შეეხება აღიარებითი სარჩელის იურიდიული შედეგის განსაზღვრისათვის საქმის მომზადების ეტაპის ეფექტური გამოყენების საკითხს, იგი მეტწილად დამოკიდებულია მხარეთა საპროცესო-სამართლებრივ აქტიურობაზე, ვინაიდან, შესაძლებელია სასამართლომ წარმოებაში მიიღოს ფორმალური თვალსაზრისით დასაბუთებული აღიარებითი სარჩელი, რომელიც მხარის კვალიფიციური შედაგების შედეგად აღმოჩნდება უსაფუძვლო ამგვარი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის რომელიმე წინაპირობის არარსებობის გამო. მაგალითად, არ იკვეთებოდეს უფლების სადავოობა, რომლის დაცვის/აღდგენის მიზნითაც მხარემ წარადგინა აღიარებითი სარჩელი.⁸²

6. აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობა

6.1. ზემოდგომი ინსტანციის სასამართლოთა როლი აღიარებითი სარჩელის იურიდიული ბედის გადაწყვეტისას

როგორც წესი, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის სსსკ-ის 180-ე მუხლის კრიტერიუმების არარსებობისას სარჩელი საწყის ეტაპზევე უნდა დარჩეს განუხილველი, თუმცა, აღნიშნული დაუშვებლობის საფუძვლები შესაძლოა ზემოდგომ ინსტანციებშიც წარმოჩინდეს. სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითები უჩვენებს, ომ სარჩელი განუხილველი რჩება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებშიც.⁸³

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, რამდენად იყო შესაძლებელი მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება ანუ – არა არსებული ფაქტობრივი გარემოებების ან ახალი მტკიცებულებების წარდგენის/მიითითების

⁸¹ იხ. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ (მეორე დამუშავებული და შესწორებული გამოცემა), თბილისი, 2007 წ. 358.

⁸² იხ. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4875-14.

⁸³ იხ. სუსკ საქმეზე №ას-643-611-2013, 19 ივნისი, 2015 წელი; №ას-437-409-2017; №ას-932-872-2017; №ას-196-185-2017; №ას-623-582-2017; №ას-324-307-2017; №ას-747-699-2017.

გზით, არამედ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რათა მოსარჩელემ მიაღწიოს მისთვის სასურველ იურიდიულ შედეგს, რომელიც აღსრულებადი იქნება (სსსკ-ის 180-ე მუხლი).⁸⁴

საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე მსჯელობისას გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ის აღიარებითი სარჩელები, რომლებიც კანონის თანახმად, არ იყო დასაშვები, თუმცა პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ ამ ტიპის დაუშვებელი სარჩელები არსებითად იქნა განხილული. საკასაციო სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა სსსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობები და აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები.⁸⁵

აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში ცხადყოფს, რომ უზენაესი სასამართლო, არსებითად იხილავს რა საკასაციო საჩივრებს, არაერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოებს საქმეს ხელახლა განსახილველად შესაბამისი მითითებებით უბრუნებს, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა შეათვასოს სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინამძღვარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს არაერთი მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო ზოგჯერ ერთი და იმავე ხასიათის შეცდომებს უშვებს (მაგალითად, სარჩოს გადაანგარიშებასთან, სამუშაოდან გათავისუფლებასთან, აღიარებით მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებში და ა.შ.).⁸⁶

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.⁸⁷ როგორც ნაშრომში

⁸⁴ იხ. სუსგ საქმეზე Nას-1509-1429-2017, Nას-921-2018.

⁸⁵ იხ. სუსგ საქმეზე Nას-833-779-2017; Nას-597-597-2018; Nას-949-885-2017; Nას-523-489-2017; Nას-1248-1168-2017; Nას-271-271-2018; Nას-320-303-2017; Nას-1151-1071-2017; Nას-1357-1277-2017; Nას-1393-1313-2017; Nას-486-454-2017; Nას-50-50-2018.

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9.

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, 9.

შესწავლილია, დასაშვებობის შემონმება სასამართლოს ვალდებულებაა, თუმცა, შედეგი დგება მხარეთათვის, ამიტომაც, სასურველია, რომ მხარეებმა - საქმის აღძვრის ეტაპზე მოსარჩელემ, ხოლო შედაგებაში მოპასუხემ, ყურადღება გაამახვილოს სსსკ-ის 180-ე მუხლის იმ მოთხოვნაზე, რომელიც დაუშვებლად აცხადებს აღიარებითი სარჩელის იურიდიულად დასასაბუთებელ ინტერესის არარსებობას საპროცესო საფუძვლით.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=133>
2. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, კომენტარი, ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., თბილისი, 2007.
3. ცეციტიშვილი მ., რეზიუმე „სარჩელების კლასიფიკაცია“, თბილისი.
4. სუსგ საქმეზე №ას-302-285-2017; საქმეზე №ას-741-702-2015; №ას- 121-117-2016; №ას-664-635-2016; №ას-937-887-2015; №ას-17-14-2015; №ას-1069-1008-2015; №ას-773-730-2015; №ას-181-174-2016; №ას-323-308-2016; №ას-407-390-2016; №ას-375-359-2016; №ას-1089-1009-2017; №ას-437-409-17; №ას-916-857-17; №ას-302-285-17; №ას-244-232-17 ; №ას-937-887-2015; №ას-869-819-2015; №ას-1025-967-2015; №ას-323-308-2016; №ას-595-554-2017; №ას-955-2018; №ას-125-121-2016; №ას-302-285-2017; №ას-964-899-2017; №ას-79-75-2017; №ას-1039-979-2015; №ას-838-802-2014; №ას-932-872-2017; №ას-1219-1139-2017; №ას-1013-956-2015; №ას-643-611-2013; №ას-437-409-2017; №ას-932-872-2017; №ას-196-185-2017; №ას-623-582-2017; №ას-324-307-2017; №ას-747-699-2017; №ას-1509-1429-2017; №ას-921-2018; №ას-833-779-2017; №ას-597-597-2018; №ას-949-885-2017; №ას-523-489-2017; №ას-1248-1168-2017; №ას-271-271-2018; №ას-320-303-2017; №ას-1151-1071-2017; №ას-1357-1277-2017; №ას-1393-1313-2017; №ას-486-454-2017; №ას-50-50-2018;
5. ცვაიგერტი ვ., კოტცი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, გამოცემის მეცნიერული რედაქცია და ბოლოთქმა თ. ნინიძის, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თბ., 2001.
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=73>
7. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2018 წლის 4 მაისის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=7>
8. Логинов П.В. 1983. Понятие иска и исковой формы защиты права // Сов. ГиП. . № 2.
9. Гурвич М. А. 1981. Учение об иске (состав, виды): Учебное пособие. Москва. Вузиз;
10. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.
11. სარჩელის შენიშვნა, „სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (I)“

12. საქართველოს კონსტიტუცია, მიღ. 1995 წლის 24 აგვისტოს, 2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
13. ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ., „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია“, თბილისი, 2004 წ.
14. Добровольский А.А.; Иваново С. А.1979.Основные проблемы исковой формы защиты права. Москва.Издю-во Моск ун-та;
15. „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღ. 1999 წლის 16 აპრილს, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=90>
16. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წ.
17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში: სსკ), 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=103>
18. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეათვის, 2010 წ., უზენაესი სასამართლოს გამოცემა.
19. ბოელინგი ჰ. პეტერ ლუტრინგჰაუსი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
20. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011.
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე საქმე №2ბ/6731-14; №2ბ/3898-13; №2ბ/3105-14; №2ბ/3499-16; №2ბ/3195-16; №2ბ/4875-14;
22. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013;
23. Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008;
24. ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (Hornsby v. Greece N18357/91 §40. 19.03.1997).
25. IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40.
26. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე“ (2014 წლის II ნახევარი _ 2015 წელი), საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, თბილისი, 2017;

თომას ჰერმანი, „მტკიცებულებითი სამართალი“, თბილისი, 2016.